

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე
დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში
რომანული ფილოლოგიის კათედრის (ფრანგული ლიტერატურა) ასოცირებული
პროფესორის - 1 საშტატო ერთეული („ა“ კატეგორია) და რომანული ფილოლოგიის
კათედრის (იტალიური ფილოლოგია) ასოცირებული პროფესორის - 1 საშტატო ერთეული
(„ა“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 5 სექტემბრის ბრძანების
№:237/01-01 საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 7 ოქტომბრის №118/2024 (ცვლილება
21.10.2024, № N126/2024) დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო
კომისიის სხდომის

№3 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი, 24 ოქტომბერი, 2024 წ.

13.00 საათი, თსუ V კორპუსი, აუდიტორია № 229

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან ოთხი (4) წევრი:

1. ზელა ხაბეიშვილი - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. ქეთევან გალობერი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. თეა თათეშვილი თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. კონსტანტინე ბრეგაძე- თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო – სამეცნიერო ინსტიტუტში რომანული ფილოლოგიის კათედრის (ფრანგული ლიტერატურა) ასოცირებული პროფესორის - 1 საშტატო ერთეული („ა“ კატეგორია) და რომანული ფილოლოგიის კათედრის (იტალიური ფილოლოგია) ასოცირებული პროფესორის - 1 საშტატო ერთეული („ა“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, **ბელა ხაბეიშვილის** ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში გამოცხადებული საკონკურსო თანამდებობების დასაკავებლად საბუთები შემოიტანა სამმა კანდიდატმა.

რომანული ფილოლოგიის კათედრის (იტალიური ფილოლოგია) ასოცირებული პროფესორის - I საშტატო ერთეული („ა“ კატეგორია) საბუთები შემოიტანა კანდიდატმა - **მაია ჯავახიძემ**.

რომანული ფილოლოგიის კათედრის (ფრანგული ლიტერატურა) ასოცირებული პროფესორის - I საშტატო ერთეულზე („ა“ კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსში საბუთები შემოიტანა ორმა კანდიდატმა - **ილია გასვიანმა და ნინო ქავთარაძემ**.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითი დადასტურებით გადმოზარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, სამი კანდიდატის პაკეტის) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საბუთები.

მაია ჯავახიძემ შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“, რაც გამოცდილებითაც დასტურდება; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო შეფასება „მაღალი“; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო შეფასება „მაღალი“; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“ (იხ. ოქმი №1).

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე იკავებდა რომანული ფილოლოგიის კათედრის (იტალიური ფილოლოგია) ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას. იგი წლებია ხელმძღვანელობს იტალიური ფილოლოგიის, ამჟამად იტალინისტიკის საბაკალავრო

პროგრამასა და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის იტალიური ენისა და ლიტერატურის მოდულს. შესაბამისად, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს. მის მიერ შესაძლო წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც იტალიანისტიკის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი და თავად აქვს აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსების შედგენისა და წაკითხვის გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიება და მათი სასწავლო სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზაცია. აგრეთვე, აღსანიშნავია დიდაქტიკური მიმართულებით სიახლეების დანერგვის პრაქტიკა. ზემოაღნიშნულის საფუძველზე კომისიამ ჩათვალა, რომ კონკურსანტის სამეცნიერო მუშაობა ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას.

კონკურსანტის პუბლიკაციები გამოქვეყნებულია ადგილობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში; ნაშრომები პასუხობს დადგენილ სამეცნიერო სტანდარტებს და შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. კონკურსანტს ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული შვიდ სამეცნიერო კონფერენციაში. სხვადასხვა დროს მოპოვებული სასწავლო თუ კვლევითი სტიპენდიებით იმყოფებოდა იტალიის სხვადასხვა უნივერსიტეტში. არის არაერთი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი.

კომისიამ მიიჩნია, რომ უცხოეთის ცენტრებთან ურთიერთობის გამოცდილებით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, სამეცნიერო პუბლიკაციებითა და თარგმანებით მას შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას. აღინიშნა, რომ წარმოდგენილ მოტივაციაში კონკურსანტს კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი. იგი რეალისტურად მსჯელობს თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია თავისი კვლევის თემატიკით, მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით დარგის განვითარებაში, საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების კუთხით, როგორც სასწავლო-მეთოდური, ასევე სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით. (დეტალურად იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“).

გასაუბრების ეტაპზე კანდიდატმა მათა ჯავახიძემ იმსჯელა კონტრასტული ლინგვისტიკისა და კოგნიტიური ლინგვისტიკის სფეროში საკუთარ მიღწევებზე. აღნიშნა, რომ ამ კუთხით გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები, რომელთაც სასწავლო რესურსად იყენებს შესაბამისი

სასწავლო კურსებისათვის. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა და იტალიანისტიკის პროგრამის განვითარების კუთხით. გასაუბრების ეტაპის გაანალიზების შედეგად კომისიამ დააგინა, რომ მათა ჯავახიძის კანდიდატურა შეესაბამება გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებს.

ნინო ქავთარაძემ შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“.

II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) შეფასდა როგორც საშუალო. კომისიამ II კატეგორიის პუნქტებში 2.1. *პედაგოგიური გამოცდილება* და 2.2. *სასწავლო-მეთოდური საქმიანობა* კანდიდატის მონაცემები საკონკურსო პროფილთან შესაბამისად მიიჩნია. კომისიის შენიშვნა შეეხო პუნქტს 2.3. *კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები*. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი აქტივობების შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მის მიერ განვლილი საკვალიფიკაციო კურსები და ტრენინგები უპირატესად ეხება პრაქტიკული ენის სწავლა-სწავლებას, სასერტიფიკაციო გამოცდების შეფასებას, დარგობრივი ენის სწავლების მეთოდოლოგიას. ეს ტენდენცია აბსოლუტურ ხასიათს ატარებს 2015 წლიდან დღემდე. მეორე მხრივ ტრენინგები მოიცავს უფრო ტექნიკური ხასიათის პედაგოგიურ მიდგომებს როგორებიცაა: სასწავლო კურსების შემუშავება, ელექტრონული რესურსების გამოყენება, ინტერნეტის გამოყენება და ა.შ. არც ბოლო წლებში და არც მანამდე არ ფიქსირდება წმინდა ლიტერატურული მიმართულებით გავლილი აქტივობები.

კონკურსანტის ანკეტის განხილვის შედეგად კომისიის წევრების კონსენსუსის საფუძველზე კონკურსანტის მიერ საკვალიფიკაციო კურსების, ტრენინგების მიმართულებით წარმოდგენილი აქტივობები საკონკურსო თანამდებობის პროფილთან (ფრანგული ლიტერატურა) მიმართებაში შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული, რაც აისახა II კატეგორიის საერთო შეფასებაზე (საშუალო).

III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) კონკურსანტმა ნინო ქავთარაძემ მიიღო შეფასება „საშუალო“.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციების რაოდენობამ 2005 წლიდან დღემდე შეადგინა 26 პუბლიკაცია, აქედან ერთი მონოგრაფია (2016 წ.). კომისიის წევრების მიერ ამ კატეგორიაში არადაამაკმაყოფილებლად შეფასდა უკანასკნელ წლებში სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით კონკურსანტის კვლევითი აქტივობის დინამიკა: ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მას გამოქვეყნებული აქვს მხოლოდ ორი პუბლიკაცია, რომელთაგან ერთი საკონფერენციო მასალებში (2019 წ.) მეორე კი საგრანტო პროექტის ფარგლებში (2022 წ.)

გამოქვეყნებული სტატიებია. 2022 წლის შემდეგ მის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში პუბლიკაციები არ ფიგურირებს.

საკონფერენციო აქტივობები ძირითადად ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობით შემოიფარგლება. ბოლო 6 წლის განმავლობაში 4 კონფერენციიდან მხოლოდ ერთი (ილიაუნის მიერ ორგანიზებული) საერთაშორისო კონფერენციაა.

საგრანტო პროექტების გრაფაში მხოლოდ ერთი, ამჯერად დასრულებული სტატუსის (2016-2019 წწ.) მქონე პროექტი სახელდება. 2019 წლის შემდეგ არც ადგილობრივ და არც საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობა არ შეინიშნება.

პუბლიკაციათა სიმწირე და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის ტენდენცია, ასევე საერთაშორისო საგრანტო პროექტებში იშვიათი ჩართულობა როგორც სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის, ასევე ინტერნაციონალიზაციის არასაკმარის პოტენციალზე მიუთითებს. უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის კატეგორიაში 2004 წლიდან დღემდე სხვადასხვა სახის მხოლოდ ხუთი აქტივობა სახელდება, რომელთაგან ლიტერატურული პროფილის მქონე მხოლოდ სამია.

კომისიამ განიხილა და შეაფასა საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაშრომი - საკონფერენციო მასალებში 2022 წელს დაბეჭდილი სტატია „მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტების სათაურების თარგმნის სირთულეები“, რომელიც ეძღვნება ლიტერატურული სათაურების თარგმნის სპეციფიკას. კომისიამ აღნიშნა, რომ სტატია ავტორის უახლესი ნაშრომია, რომელიც საყურადღებოა აღნიშნული საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კონცეფცია კომისიის წევრთა მიერ შეფასდა, როგორც საშუალო. არგუმენტად დასახელდა ის, რომ კონცეპტუალური დოკუმენტი პრაქტიკულად არ მოიცავდა დარგის განვითარების ხედვას. კონცეფცია ძირითადად ასახავდა კანდიდატის მიღწევებს და სასწავლო-პედაგოგიურ საქმიანობაში მის მიერ გამოყენებულ მიდგომებს. დოკუმენტში მიმოხილულია ლიტერატურის სწავლა-სწავლების თვალსაზრისით არსებულ პრაქტიკა, ზოგადი შეხედულებები. ის ნაკლებად ეხება პროგრამის სტრატეგიული განვითარების კონკრეტულ ინიციატივებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, III კატეგორიაში კომისიის წევრებმა კონსენსუსის საფუძველზე კონკურსანტ ნინო ქავთარაძის პოტენციალი კვლევითი პროფილის განვითარების, საგანმანათლებლო კვლევით პროცესებში ინტეგრაციისა კუთხით შეაფასეს, როგორც „საშუალო“. ასევე საშუალოდ შეფასდა მისი საქმიანობა თსუ ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობის ხელშეწყობის კუთხით. კომისიამ დადებითად შეაფასა კანდიდატის აქტივობა ამ მიმართულებით ეროვნულ დონეზე, თუმცა ინტერნაციონალიზაციის არასაკმარისი ხარისხის გამო მას არ მიეცა საშუალება ეს კომპონენტი ჯამურად შეეფასებინა, როგორც „მაღალი“.

IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში (ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერება და თსუ-ს შემდგომი წინსვლა და განვითარება) კონკურსანტმა მიიღო საშუალო შეფასება (იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“). ამ კატეგორიაში კანდიდატ ნინო ქავთარაძის მიერ სტუდენტების დაინტერესება, სტუდენტების ნაშრომების ხელმძღვანელობის, წაკითხული საჯარო ლექციების კუთხით გაწეული საქმიანობა შეფასდა დადებითად. თუმცა კომისიამ არსებული მონაცემების საფუძველზე ვერ გამოკვეთა არსებითი ნაბიჯები და მიღწევები ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებისა და თსუ-ს შემდგომი წინსვლისა და განვითარების მიმართულებით.

გასაუბრების ეტაპზე კანდიდატმა, ნინო ქავთარაძემ ისაუბრა რომანული ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში მუშაობის მოტივაციაზე, საავტორო სასწავლო კურსებზე.

დადასტურდა, რომ იგი წლების მანძილზე ჩართულია საკონკურსო პროფილის (ფრანგული ლიტერატურა) სასწავლო კურსების განხორციელებაში. მას აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კურსების წაკითხვის გამოცდილება. კითხულობს საგნებს, რომლებიც ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი.

კომისია დაინტერესდა კანდიდატის მიერ წაკითხული სასწავლო კურსების სპეციფიკით. კანდიდატმა დაადასტურა რომ მის მიერ წლების მანძილზე წაკითხული კურსების უმრავლესობა წარმოადგენს პროგრამის კურსებს. ასევე დაადასტურა, რომ ავტორია პროგრამაში წარმოდგენილი 6 სილაბუსისა. მისი ავტორობით პროგრამაში ინტეგრირებული ექვსი სილაბუსიდან სამი ძირითადი კურსია და სამი არჩევითი (იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“, ასევე ოქმი №2).

კომისია ასევე დაინტერესდა 2023 წლიდან ამოქმედებული ახლადაკრედიტირებული პროგრამის შემუშავების პროცესში კანდიდატის ჩართულობასა და მის მიერ შემოთავაზებული ინიციატივების თაობაზე. გამოვლინდა, რომ კანდიდატის ინიცირებით პროგრამის განვითარების თვალსაზრისით ხელშესახები ცვლილებები არ განხორციელებულა. პროგრამის შემუშავების ფაზაში მისი მხრიდან არ მომხდარა ახალი კურსების ინიცირება, შესაბამისად პროგრამაში მისი სასწავლო საქმიანობა ტრადიციულ ფორმატში, არსებულ სილაბუსებზე დაყრდნობით გაგრძელდა. კანდიდატმა აღნიშნა, რომ ცვლილებები მის შემთხვევაში მხოლოდ შიდა სასწავლო-შეფასებით კომპონენტებზე აისახა.

გასაუბრებისას კანდიდატი, შეეხო არჩევით სასწავლო კურსს „ფრანგული ზღაპარი“ და მის ფარგლებში განხორციელებულ სტუდენტურ მთარგმნელობით პროექტს. კომისია დაინტერესდა პროექტში ჩართული სტუდენტების ენის ფლობის დონით. გამოვლინდა, რომ ვინაიდან კურსი შეთავაზებულია ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის, პროექტის მონაწილეები იყვნენ ბაკალავრიატის სტუდენტები. კომისიის დამატებითი კითხვები შეეხო ამ

სასწავლო ეტაპზე სტუდენტების ენის ფლობის დონიდან გამომდინარე არსებულ შესაძლებლობებს და ქ.-ნი ნინოს მხატვრული თარგმანის კუთხით არსებულ გამოცდილებას. ქ.-მა ნინომ შესაძლებლად მიიჩნია ბაკალავრიატის სტუდენტების უნარების გამოყენება მხატვრული თარგმანისას, რასაც მოჰყვა კომისიის სკეპტიკური რეაქცია. გასაუბრების საფუძველზევე აღინიშნა კანდიდატის მწირი გამოცდილება თარგმანის მიმართულებით. მისივე თქმით, მან თარგმნა მ.კუნდერას სიტყვა და თავისივე მონოგრაფიაში ინტეგრირებული ნათარგმნი პასაჟები. ამჟამად დაინტერესებულია და მუშაობს ფრანგული პოეზიის თარგმნის მიმართულებით.

კომისიამ შეაფასა კანდიდატის ხედვა ინტერნაციონალიზაციის პროცესის თაობაზე. კანდიდატის ზოგადი შეხედულებები ამ მიმართულებით კომისიისთვის საინტერესო აღმოჩნდა: მან ისაუბრა ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობების განვითარების ხედვაზე. თუმცა, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები არასაკმარისად შეფასდა. კანდიდატის მიერ დასახელებული ისედაც მცირერიცხოვანი საერთაშორისო აქტივობები ნაკლებად აღმოჩნდა უშუალოდ ფრანგული ფილოლოგიის პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული. გასაუბრების ეტაპზე არ გამოვლინდა უცხოელ ფრანკოფონ კოლეგებთან მჭიდრო ურთიერთობის ფაქტი, რომელიც აისახებოდა ერთობლივი საერთაშორისო პროექტების, კონფერენციების, სემინარების განხორციელებაში. გასაუბრებამ ხაზგასმით გამოავლინა საბუთების განხილვის ეტაპზე III კატეგორიაში მინიჭებული შეფასების („საშუალო“) მართებულობა.

ორივე ეტაპის შედეგების განხილვისა და შეჯერების საფუძველზე კომისიამ ნინო ქავთარაძის კანდიდატურა გამოცხადებული ვაკანსიის (რომანული ფილოლოგიის კათედრის (ფრანგული ლიტერატურა) ასოცირებული პროფესორი) პროფილის მოთხოვნებთან მიმართებაში შეაფასა, როგორც საშუალო.

ილია გასვიანმა შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“.

II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) შეფასდა, როგორც „მაღალი“. კონკურსანტის როგორც პედაგოგიური გამოცდილება (2.1), სასწავლო მეთოდური საქმიანობა (2.2), ასევე კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები (2.3) საკონკურსო პროფილთან (ფრანგული ლიტერატურა) შესაბამისად იქნა მიჩნეული. კომისიამ დაადგინა, რომ ამ მიმართულებით ილია გასვიანის მიერ განვლილი სტაჟირებები, ტრენინგები მჭიდრო კავშირშია ლიტერატურულ საქმიანობასთან. ბოლოდროინდელი აქტივობაც ხაზგასმით მიაჩნებოდა მის ინტერესზე ქართულ-ფრანგული ლიტერატურული და მთარგმნელობითი ურთიერთობების მიმართ (2020 წ.). თარგმანის მიმართულებით არსებული ტრენინგების უმრავლესობა საერთაშორისო მივლინებების ფორმატშია განხორციელებული

და მოიცავს არაერთჯერად მივლინებებს ლიტერატურული თარგმანისა და ტექსტის რედაქტირების მიმართულებით ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: საფრანგეთი, შვეიცარია, იტალია. სტაჟირებები მიუთითებს კანდიდატის მაღალი დონის ღონისძიებებში ჩართულობაზე ლიტერატურის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების კუთხით, ფრანგული ლიტერატურის შესწავლის, თარგმანისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით. არლის „მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელთა საერთაშორისო კოლეგიუმის“ მიერ ორგანიზებული სტაჟირებები, მხატვრული თარგმანის ტრენინგები, სახელოსნოებში მრავალჯერადი ჩართულობა, მთარგმნელობითი პრაქტიკუმები ამის ნათელი დასტურია.

კონკურსანტის ანკეტის განხილვის შემდეგ, კომისიის წევრების კონსენსუსის საფუძველზე კონკურსანტის მიერ საკვალიფიკაციო კურსების, ტრენინგების მიმართულებით წარმოდგენილი აქტივობები საკონკურსო თანამდებობის პროფილთან (ფრანგული ლიტერატურა) მიმართებაში შესაბამისად იქნა მიჩნეული, რაც აისახა II კატეგორიის საერთო შეფასებაზე „მაღალი“.

III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) კანდიდატმა ილია გასვიანმა მიიღო შეფასება - „მაღალი“.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციების რაოდენობამ 2005 წლიდან დღემდე შეადგინა 12 პუბლიკაცია. გამოქვეყნებული ნაშრომების დინამიკა მიუთითებს ბოლო წლებში სპეციალისტის აქტიურ ჩართულობაზე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში: 2021 წლის შემდეგ კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს 4 პუბლიკაცია, რომელთაგან ერთი მონოგრაფიული სახის ვრცელი ნაშრომია. შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ კომისიას მხედველობაში არ მიუღია 2025 წელს საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში დასაბეჭდად წარდგენილი სტატია.

საკონფერენციო აქტივობები გამოკვეთს კონკურსანტის ჩართულობას საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორისაა რომანული ფილოლოგიის კათედრისა და ლილის ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია „ცენტრი და პერიფერია“, სომხეთის და საფრანგეთის ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციათა მოხსენებები გამოკვეთს კანდიდატის დაინტერესებას უპირატესად ქართულ-ფრანგული კომპარატივისტული თემატიკით (ქართულ-ფრანგული რომანტიზმი, ქართულ - ფრანგული სიმბოლიზმი), რაც ფრანგული ფილოლოგიის კომპარატივისტული ლიტერატურის მოდულის სტრატეგიული მიმართულებაა.

საგრანტო პროექტების მიმართულებით იკვეთება ილია გასვიანის აშკარა უპირატესობა: ბოლო ექვსი წლის განმავლობაში საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებს შორის სამი პროექტი სახელდება, რომელთაგან სამივე უკავშირდება ფრანგული და კომპარატივისტული ლიტერატურის სწავლა-სწავლებისა და კვლევის სპეციფიკას. 2024-2025 წლებში ილია გასვიანი ძირითადი მონაწილის სტატუსით ჩართულია რომანული ფილოლოგიის კათედრის

და სამი აღმოსავლეთევროპული უნივერსიტეტის (კრაიოვა, სუჩავა (რუმინეთი), ლვოვის (უკრაინა)) მიერ ინიცირებულ ერთობლივ პროექტში, რომელიც ეხება ფრანგული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი დეპარტამენტების ფრანკოფონი სტუდენტების პროფილის კვლევას დიდაქტიკური პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. იგი კურირებს ლიტერატურის სწავლების მიმართულებით არსებული პრაქტიკის შესწავლისა და ანალიზის მიმართულებას. საგრანტო პროექტები ასევე მიუთითებს მის ჩართულობაზე ფრანგულ-ქართული სიმბოლიზმის, სამოგზაურო ლიტერატურის კვლევისა და პოპულარიზაციის მიმართულებით. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო/მწერალთა სახლისა და ლოზანის ფოტოგრაფიის მუზეუმთან მისი ინიციატივით ერთობლივი პროექტი უცნობი ფრანკოფონი მოგზაურის საქართველოს შესახებ არსებული დღიურებისა და ფოტომასალის გაცნობას ეხება.

იკვეთება კანდიდატ ილია გასვიანის უპირატესობა ამავე აკადემიურ ვაკანსიაზე მეორე პრეტენდენტთან ნინო ქავთარაძესთან უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის კატეგორიაშიც. ილია გასვიანის მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში, საერთაშორისო საპროექტო თანამშრომლობის თვალსაზრისით ათამდე აქტივობას ითვლის, რომელთაგან ყველა უკავშირდება ლიტერატურული მიმართულებით გაწეულ და არსებულ საქმიანობას.

საკვალიფიკაციო კურსების, ტრენინგების, კონფერენციათა თემატიკა გამოკვეთს კონკურსანტის ინტერესს თარგმანისა და კომპარატივისტული კვლევების მიმართ, მის განვითარებას ამ მიმართულებით, რაც ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს. ეს გარემოება საგრანტო პროექტებთან დასტურდება, რომლებიც ცხადჰყოფს, როგორც ლიტერატურის სწავლა-სწავლების მიდგომათა შესწავლისა და ანალიზის სურვილს, ასევე ინტერესს პროგრამის სასწავლო თემატიკასთან უშუალო კავშირში მყოფი კვლევებისა და თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილმა კონცეფციამ კომისიის წევრთა მოწონება დაიმსახურა. ერთხმად აღინიშნა, რომ კონცეპტუალური დოკუმენტი პასუხობს მისთვის კუთვნილ მიზნობრიობას და ნათლად ასახავს დარგის განვითარების ორიგინალურ ხედვას. აღსანიშნავია, რომ ილია გასვიანის კონცეფცია მოიცავს კონკრეტულ პუნქტებს და ითვალისწინებს პროგრამის განვითარების შესაძლებლობას ოთხი ძირითადი მიმართულებით: კომპარატივისტული კვლევები, თარგმანის თეორია და პრაქტიკა, თარგმანის ისტორია და კრიტიკა, ფრანგული ენის სწავლების კომპონენტის გაძლიერება ფრანგული ლიტერატურით და ორიგინალური სასწავლო რესურსების შემუშავება.

ხედვა ეხება ინიციატივებს და ამასთანავე ეყრდნობა კანდიდატის გამოცდილებასა და შესაძლებლობებს ფუნდამენტური მიდგომების დანერგვის კუთხით ოთხივე მიმართულებით. კანდიდატი გვთავაზობს საინტერესო ინიციატივებს დიდაქტიკური და პედაგოგიური პრაქტიკის, ფრანგული ლიტერატურის კომპარატივისტული კვლევითი კომპონენტის,

ლიტერატურული თარგმანის და სასწავლო-სამეცნიერო რესურსების შემუშავების თვალსაზრისით. აღნიშვნის ღირსია, რომ კანდიდატის გამოცდილება და კონცეპტუალური ხედვა აბსოლუტურ შესაბამისობაშია ფრანგული ფილოლოგიის პროგრამის სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან. ამასთანავე ის არამარტო თეორიული სურვილების დოკუმენტია, არამედ კანდიდატის მიერ თითოეული მიმართულებით უკვე განხორციელებულ რეალურ ნაბიჯებზეც მიუთითებს.

ლიტერატურული თარგმანის მიმართულების განვითარების მხრივ აღსანიშნავია მისი, როგორც პრაქტიკოსი მთარგმნელის გამოცდილება და პოტენციალი. ფრანგული ლიტერატურის პროგრამაში ასოცირებული პროფესორის რანგში სპეციალისტის ჩართულობა, რომლის აქტივში 50-მდე მხატვრული თარგმანია, ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესია. აქვე უნდა აღინიშნოს, ილია გასვიანის მონაწილეობა სასწავლო რესურსების კუთხით. წლების მანძილზე უპირატესად ძირითადი სპეციალობების სწავლებაში ჩართულობა აისახა მრავალრიცხოვანი დამხმარე სასწავლო რესურსების შემუშავებაზე. იგი წლების მანძილზე თანახელმძღვანელობდა და მისი რედაქტირებით მომზადდა გამოსაცემად ახალ პოსტსაბჭოთა რეალობაში პირველი ქართულენოვანი ლიტერატურის ისტორიის გზავი დ'არკოსის „ფრანგული ლიტერატურის ისტორიის“ თარგმანი. ეს წიგნი ამ ეტაპზე ფრანგული ლიტერატურის ძირითად სასწავლო რესურსად უნდა მივიჩნიოთ.

კომისიამ განიხილა და შეაფასა საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაშრომი - მონოგრაფია „გიომ აპოლინერის ალკოჰოლები და XX საუკუნის დასაწყისის (1900-1920) ავანგარდული ტენდენციები პოეზიასა და ფერწერაში“, რომელიც წარმოადგენს ავტორის ერთ-ერთ უახლეს პუბლიკაციას (2024 წ.). აღინიშნა, რომ ილია გასვიანის ნაშრომი გიომ აპოლინერის პოეზიაზე ქართულ რეალობაში ამ თემაზე შექმნილ პირველ მონოგრაფიული ნაშრომს წარმოადგენს, რომელიც ინტერდისციპლინური ხასიათითაც გამოირჩევა. ის ფაქტი, რომ ნაშრომი წარმოადგენს უახლეს გამოცემას, კანდიდატის ბოლოდროინდელ აქტიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე მიუთითებს. ის უშუალო კავშირშია კანდიდატის სამეცნიერო კვლევით თემატიკასთან და საინტერესო პუბლიკაციის გარდა წარმოადგენს ძალზე საჭირო სასწავლო რესურსს ფრანგული ფილოლოგიის პროგრამული კურსისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა კონსენსუსის საფუძველზე III კატეგორიაში კონკურსანტ ილია გასვიანის პოტენციალი კვლევითი პროფილის განვითარების, საგანმანათლებლო კვლევით პროცესებში ინტეგრაციისა და თსუ ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობის ხელშეწყობის კუთხით შეაფასეს როგორც „მაღალი“.

IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში (ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერება და თსუ-ს შემდგომ წინსვლა და განვითარება) კონკურსანტმა, ილია გასვიანმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“). ამ კატეგორიაში კანდიდატ ილია გასვიანის მიერ სტუდენტების დაინტერესების, სტუდენტების ნაშრომების ხელმძღვანელობის, წაკითხული საჯარო ლექციების კუთხით გაწეული საქმიანობა, 50-მდე მხატვრული

ლიტერატურული თარგმანი. ფრანგულ-ქართულ ლიტერატურულ და მთარგმნელობით აქტივობებში მონაწილეობა, მთარგმნელობით კონკურსში გამარჯვება შეფასდა დადებითად. კომისიამ ამ კატეგორიაში ილია გასვიანის მიერ გადადგმული ნაბიჯები და მიღწევები არსებითად მიიჩნია, რის საფუძველზეც გამოკვეთა კანდიდატის უპირატესობა ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებისა და თსუ-ს შემდგომ წინსვლისა და განვითარების მიმართულებით.

ილია გასვიანის გასაუბრების ეტაპმა გამოავლინა კანდიდატის მაღალი ჩართულობა, როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მისი განხორციელების თვალსაზრისით. კურსები, რომლებშიც კანდიდატი წლების მანძილზეა ჩართული, უმეტესწილად წარმოადგენს პროგრამის ძირითად დისციპლინებს.

დადებითად შეფასდა მისი ჩართულობის ხარისხი პროგრამის შემუშავების კუთხით, რაც გამოვლინდა კონკრეტული ინიციატივების შეფასების საფუძველზე. კანდიდატმა აღნიშნა, რომ ის 10 სილაბუსის ავტორია, რომელთაგან 6 სავალდებულო, 3 არჩევითი და 1 მის მიერ ინიცირებული პოტენციური კურსია. დადგინდა, რომ იგი მჭიდრო კონსულტაციის რეჟიმში მუშაობდა როგორც ლიტერატურის მოდულის ხელმძღვანელთან, ასევე კათედრის კოლეგიალურ შემადგენლობასთან, რაც მისი გუნდური მუშაობის უნარზე მიუთითებს. მის მიერ შემოთავაზებულ ინიციატივებს შორის დაასახელა ახალ პროგრამაში ინტეგრირებული დისციპლინები, როგორებიცაა, მაგ.: „სამოგზაურო ლიტერატურა“, „როგორ წავიკითხოთ ფრანგული ლექსი“, „როგორ წავიკითხოთ ახალი რომანი“. მის მიერ მოხდა ფრანგული ლიტერატურის პროგრამის ძირითადი კურსების პროგრამული ნაწილის მოდიფიცირება, მათ შორის საგნის „ფრანგული ლიტერატურა 1“ და „ფრანგული ლიტერატურა 2“ ფუნდამენტური შეცვლა, რაც კათედრის ხელმძღვანელობამ გაიზიარა. საინტერესო ინიციატივად შეფასდა მის მიერ პროგრამის პრაქტიკული ენის სწავლების კომპონენტში ყველა საფეხურზე (ფრანგული ენა 3 - დან) ორიგინალური ფრანგულენოვანი ლიტერატურული ტექსტების სწავლების ინტეგრირება, რაც პრაქტიკაში განხორციელდა კიდევ. გასაუბრების ეტაპმა გამოავლინა კანდიდატის მაღალი ჩართულობა, როგორც სასწავლო-სამეცნიერო თვალსაზრისით, ასევე ინიცირების კუთხით.

კონკურსანტმა აღნიშნა მისი როლი და მიღწევები ფრანგული ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო რესურსების შემუშავების კუთხით. გამოიჩინა, რომ იგი ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდა პროგრამის შემუშავების ყველა ეტაპზე. საგნისთვის „კომპარატივისტული ლიტერატურული ისტორია“ მის მიერ იქნა თარგმნილი ფრანსის კლოდონის „ევროპული ლიტერატურული მიმდინარეობები“ (128 გვ.), „ფრანგული რომანი“ (230 გვ.), რომლებიც კომპარატივისტული ლიტერატურის მოდულის ძირითად რესურსად იქცა. მან ასევე აღნიშნა მრავალწლიანი შრომის შედეგად გ. დ'არკოსის „ფრანგული ლიტერატურის ისტორიის“ (530 გვ.) თარგმანი, რომელსაც ასევე ძირითად რესურსად მოიაზრება და უკვე გამოცემის ფაზაშია. იგი ამჟამად მუშაობს სამოგზაურო ლიტერატურის რესურსების შექმნაზე.

კანდიდატმა გასაუბრების ფარგლებში გამოთქვა ფრანგულ-ქართული თარგმანების ბაზის საუნივერსიტეტო ბაზაზე შექმნის ინიციატივა, რაც კომისიამ ერთხმად დადებითად შეაფასა.

კონკურსანტმა ხაზგასმით ისაუბრა უცხოელ ფრანკოფონ კოლეგებთან თანამშრომლობისა და პროგრამის განვითარებისთვის მისი მნიშვნელობის შესახებ. ისაუბრა თანამშრომლობის ეტაპებზე ლიტერატურული კვლევის მიმართულებით სუჩავას და კრაიოვას (რუმინეთი) და უკრაინის ლვოვის უნივერსიტეტებთან, რაც წინ უძღოდა 2024 წლის ივლისიდან მიმდინარე საერთაშორისო პროექტს. ამასთანავე ილია გასვიანი მონაწილეობდა ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციის (2023 წ.) ორგანიზებაში უცხოელ კოლეგებთან კონსულტაციის თვალსაზრისით. კანდიდატის ძალისხმევამ განაპირობა მათი ჩართულობა და დაინტერესება კონფერენციის ლიტერატურულ სექციაში და საერთაშორისო პუბლიკაციაში მონაწილეობის კუთხით.

კანდიდატის ხედვა ინტერნაციონალიზაციის პროცესის შესახებ აღმოჩნდა საინტერესო. პირველ რიგში აღინიშნა კანდიდატის მიღწევების და კომპეტენციების ლოგიკური ბმა პროგრამის სტრატეგიულ მიმართულებებთან, როგორებიცაა კომპარატივისტული კვლევები, თარგმანის თეორია და პრაქტიკა. მისი პროფილის შეფასებისას გამოიკვეთა ლოგიკური ერთიანობა და მიზნებთან შესაბამისობაში არსებული თანმიმდევრულობა.

რომანული ფილოლოგიის კათედრის (ფრანგული ლიტერატურა) ასოცირებული პროფესორის - 1 საშტატო ერთეული („ა“ კატეგორია) ვაკანსიაზე წარმოდგენილი ორივე კანდიდატი შეფასდა როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ასევე გასაუბრების შედეგად. კომისიამ შეაფასა და პუნქტუალურად დაასაბუთა კონკურსის დოკუმენტაციაში და გასაუბრების ეტაპზე გამოვლენილი რეალობა, რაც დაწვრილებით არგუმენტირებულად ასახა აღნიშნულ შემაჯამებელ ოქმში. შემაჯამებელ ოქმში ორივე ეტაპის შეფასებისა და დასაბუთების საფუძველზე გამოვლინდა საკონკურსო კანდიდატის ილია გასვიანის აშკარა უპირატესობა გამოცხადებულ ვაკანსიაზე.

გასაუბრების ეტაპის დასრულებისთანავე კომისიის წევრებმა ფარული კენჭისყრით დაადასტურეს საკუთარი პოზიცია ვაკანტურ თანამდებობებზე წარმოდგენილ კონკურსანტებთან მიმართებაში.

ფარულ კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის სუბსი წევრიდან 4 (ოთხი) წევრი. კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს თითოეულ კანდიდატს.

რომანული ფილოლოგიის კათედრის (იტალიური ფილოლოგია) ასოცირებული პროფესორის - 1 საშტატო ერთეული („ა“ კატეგორია) კენჭი უყარეს მაია ჯავახიძის კანდიდატურას.





ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ოთხმა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) ერთხმად დაუჭირა მხარი **მაია ჯავახიძის** კანდიდატურას.

რომანული ფილოლოგიის კათედრის (ფრანგული ლიტერატურა) ასოცირებული პროფესორის - 1 საშტატო ერთეულზე („ა“ კატეგორია) კენჭი უყარეს **ილია გასვიანისა და ნინო ქავთარაძის** კანდიდატურებს.

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ოთხმა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) ერთხმად დაუჭირა მხარი **ილია გასვიანის** კანდიდატურას. კომისიის არცერთმა წევრმა (4 მოწინააღმდეგე, არცერთი მომხრე) არ გამოუცხადა მხარდაჭერა **ნინო ქავთარაძის** კანდიდატურას.

ერთხმად დაადგინეს:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში რომანული ფილოლოგიის კათედრის (იტალიური ფილოლოგია) ასოცირებული პროფესორის - 1 საშტატო ერთეული („ა“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **მაია ჯავახიძე**;
2. რომანული ფილოლოგიის კათედრის (ფრანგული ლიტერატურა) ასოცირებული პროფესორის - 1 საშტატო ერთეული („ა“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **ილია გასვიანი**.
3. გადაეცეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე:		/პროფ. ბ.ხაბეიშვილი/
კომისიის მდივანი:		/ასისტ.პროფ. თ. თათეშვილი/
კომისიის წევრები:		/ასოც.პროფ. კ.ბრეჯაძე/
		/ასოც. პროფ. ქეთევან გალობერი/

თარიღი: 24. 10. 2024